

ცესკოდან პოლიტიკაში



მაგდა ლაქიაშვილი

პრეზიდენტობის მსურველთა სიას, შესაძლოა, ერთი კანდიდატი, ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი დაემატოს. გადანაცვლებილი დამუშავების პროცესშია, თუმცა პოლიტიკაში მოსვლა ხარატიშვილს უკვე მოფიქრებული აქვს. ცესკო-ს თავმჯდომარეობიდან გადადგომის მიზეზად მან ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნა დასახელა. აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა კი საკუთარი გამოცდილებისა და ენერჯის საზოგადოებისთვის გასაზიარებლად სურს.

ბაზრძელობა
80-3 ბავარდუა

სახელწოდების კიდევ ერთი ცვლილების ტალღა თბილისში

თბილისის აეროპორტს, ვარდების მოედანს, ევროპის მოედანსა და რიყის პარკს ახალი სახელწოდებები ექნებათ. როგორც გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა, ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება, რომ თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდოს, „ვარდების მოედანს“ - მერაბ კოსტავას სახელი, „ევროპის მოედანი“ ასი ათასი მონამის სახელობის იყოს, ხოლო რიყის პარკს ევროპის პარკი და-

ერქვას. შიხიაშვილის თქმით, ჩამოთვლილი სახელწოდებები საბოლოო ვარიანტი არ არის, თუმცა, ეს უმრავლესობის მოსაზრებაა. მისი ინფორმაციით, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების შეხვედრა უკვე გაიმართა, სადაც ეს საკითხი განიხილეს.

„კონკრეტულ გადაწყვეტილებას მივიღებთ მას შემდეგ, რაც ეს საკითხი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შევა და შესაბამისად, კენჭისყრაზე დამტკიცდება,“ - აღნიშნა ირაკლი შიხიაშვილმა. მისივე განცხადებ-

ით, „ვარდების მოედნისთვის“ სახელწოდების შეცვლა კონკრეტული მოვლენის მიმართ სიძულვილს არ გამოხატავს.

„კოსტავას ქუჩა სწორედ ვარდების მოედნიდან იწყება და სასურველია, რომ ამ მოედანს კოსტავას სახელი დაერქვას. რაც შეეხება ევროპის მოედნისთვის ასი ათასი მონამის სახელის დარქმევას, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ასი ათასი მონამე ანამეს.

ბაზრძელობა
80-2 ბავარდუა

აბვიძიაში დაღუპულთა რაოდენობა ათასობით განისაზღვრება

ივა შილაკაძე

გუშინდელი „დაზუსტებული“ მონაცემებით, ევგვიტეში „მუსლიმანი ძმების“ კარავების ქალაქების აღებისას და ამის შემდეგ დაწყებული შეტაკებების მსხვერპლთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ოთხშაბთ საღამოს ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული ციფრები, რაც ჩვენს გუშინდელ სტატიაში იყო მოყვანილი, როგორც ჩანს, მხოლოდ ადრეული ცნობებს ეფუძნებოდა.



ბაზრძელობა
80-4 ბავარდუა

იარუსალიმში ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი შედგა

ივა შილაკაძე

ოთხშაბათს, გვიან ღამით, ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის დელეგაციებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დამთავრდა. ეს იყო ახლო აღმოსავლეთში პირველი შეხვედრა 2010 წლის შემდეგ, როდესაც სამშვიდობო შეთანხმების დადების მორიგი მცდელობა ჩაიშალა. ორივე მხარესთან აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერის ნახევარწლიანი აქტიური მუშაობის შემდეგ, მხარეებს შორის მოლაპარაკებები ივლისის ბოლოს ვაშინგტონში განახლდა.



ბაზრძელობა
80-4 ბავარდუა

მაშხუდ აბასი გათავისუფლებულ პატიმრებს შორის.

1 აშშ დოლარი	1.6452\$
1 ევრო	2.0679\$
1 ინგლისური გირვანქა	2.5746\$
1 თურქული ლირა	0.9118\$
100 რუსული რუბლი	5.1083\$

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

„დინამო“ VS „ტოტენჰემი“ მინუს ბილი



გარეთ ბილი თბილისურ შეხვედრას გამოტოვებს

გიგა ბურსაშვილი

თბილისის „დინამოს“ ევროტასებზე არ გაუმართლა - ევროპის ლიგის ფლეი ოფში მოხვედრილ თბილისურ კლუბს მეტოქედ ლონდონის „ტოტენჰემი“ შეხვდა, მანამ-

დე კი, ვისი ნყალობითაც ევროპის ლიგაზე მოუხდა გადართვა, ბუქარესტის „სტიაუა“ იყო, რომელმაც ლინამოელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩამოაქვეითა.

ბაზრძელობა
80-5 ბავარდუა

სილუილი პაემანი ტორონტოში

ლევან კოლუაშვილის ახალი ფილმი ტორონტოს კინოფესტივალის მონაწილეა

ივა შილაკაძე

5 სექტემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც ვენეციის კინოფესტივალი გადამწყვეტ ფაზაში დაიწყო გადასვლას, მაგრამ ჟიურის საბოლოო გადანაცვლებიდან ჯერ კიდევ არ ექნება მიღებული, დედამიწის

მეორე ნახევარსფეროში, კერძოდ ტორონტოში მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კინოფესტივალი აიღებს სტარტს. ტორონტოს კინოფესტივალი სხვა მსგავსი ღონისძიებებისგან იმით განსხვავდება, რომ მის დასკვნით დღეს ჟიურის რჩეულებს არ ასახელებენ, აქ მთავარ ფილმს

მაყურებელი ირჩევს, ამრიგად ლევან კოლუაშვილის ახალ ფილმს სწორედ მაყურებლის მოხიბვლა მოუწევს, თუმცა არა მხოლოდ მისი, რადგან ტორონტო უდიდესი კინობაზრობაცაა და სწორედ აქ იგეგმება ამა თუ იმ ფილმის მომავალი საფესტივალო ბიოგრაფია.

ბაზრძელობა
80-5 ბავარდუა



„24 საათი“ ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თბილისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საბავარდუო სარადიო-სადარბაზო

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9 771987 19121001

ხილული პაემანი ტორონტოში

პირველი გვერდიდან

ამ ბიოგრაფიის ერთი თავი კოლუაშვილის «ბრმა პაემნებს» უკვე დასრულებული აქვს: 2 ივლისს, ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ფილმი პროსტროდუქციის პროცესში იყო, კარლოვი ვარის ევროპული ფილმების პრეზენტაციისა და პიტინგის ფარგლებში, სექციის Works in Progress ფილმმა ბარანდოვის კინოსტუდიის 10 ათას ევროიანი პრემია მოიპოვა (ფილმი კარლოვი ვარში კომპანია «კინოიბერიკას» პროდიუსერმა ოლენა იერშოვამ წარადგინა). კოლუაშვილის ფილმის ამ წარმატებას კინოგამოცემა Variety-მ სტატია მიუძღვნა, სადაც საუბარი იყო თანამედროვე ქართული კინოს აღმავლობაზე და შედარებული იყო რუმინულ კინემატოგრაფთან, როგორც ევროპული კინოს იმედისმოცემი კინემატოგრაფი. «საქართველოს გამარჯვება პროექტში Works in Progress ადასტურებს, რომ საქართველო ევროპული კინემატოგრაფის ამომავალი ვარსკვლავია, რასაც უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს. ბოლო წლებში გაიზარდა ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი რეჟისორების ფილმების დაფინანსება და დამყარდა საერთაშორისო კავშირები, რამაც ახალგაზრდა შემოქმედებს უცხოურ ბაზარზე ნამუშევრების წარმოჩენის საშუალება მისცა», - აღნიშნულია სტატიაში.

«ბრმა პაემნებზე» ლევან კოლუაშვილი დაახლოებით ორი წელი მუშაობდა. ამ დროის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა პროექტის სახელწოდება: მას ჯერ «მეყვარებული მასწავლებელი» ერქვა, შემდეგ «მელოტი ბიჭები», მაგრამ არ შეცვლილა ჩვენი მსახურების ფილმისადმი მოლოდინი. ეს ძალიან ბუნებრივი რეაქციაა - ლევან კოლუაშვილი უკანასკნელი წლების ალბათ საუკეთესო ქართული ფილმის, «ქუჩის დღეების» ავტორია. აღნიშნული ფილმი იმ იშვიათ გამოჩენილებს მიეკუთვნება, როდესაც მსახურებ-



ლისა და კრიტიკის აზრი ერთმანეთს ემთხვევა და მას ერთმნიშვნელოვნად კარგ ნამუშევრად აღიარებენ. ფილმი პრაქტიკულად ყველა გემოვნების მსახურებელმა მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კინოში მრავალჯერ გადამღერებულ ნარკომანიის თემას ეხება.

ლევან კოლუაშვილი ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ქართველ რეჟისორად აქცია, ამავდროულად კი პატარა თავსატეხიც გაუჩინა - მსახურების მხრიდან არსებული მოლოდინის პირობებში მას თითქოს აღარ აქვს უფლება «ქუჩის დღეებზე» სუსტი ფილმი გადაიღოს. იმედია, ასეც არის, რაზეც «ბრმა პაემ-

ნების» ეს მცირე წარმატებები უკვე მოწმობს - ფაქტია, რომ ტორონტოს კინოფესტივალის სელექციონერები სუსტ ნამუშევარზე არჩევანს არ შეაჩერებდნენ.

«ბრმა პაემნები» მართლაც შეყვარებულ მასწავლებელსა და მელოტი ბიჭებზეა. 40 წლის მასწავლებელი სანდრო, რომელიც ქართული

ტრადიციისამებრ ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობს, ქალებში ნაკლებად პოპულარულია. ამის გამო იძლებულია, იღბალი გაცნობის საიტებზე ეძებოს. სწორედ ასე გაცივრობს სტილისტ მანანას და სიყვარულის ბადეშიც ებმება. თუმცა ყველაფერი ასე მარტივად არაა - მანანას ქმარი ჰყავს, სანდროსავით მელოტი და მასზე უფრო ხელმოცარული.

კოლუაშვილმა ამჯერადაც ქეთი მაჭავარიანთან ერთად იმუშავა, რომელიც «ქუჩის დღეების» მსგავსად «ბრმა პაემნების» ექსკლუზიური პროდუსერია. პროდუსერები ასევე არიან თავად რეჟისორი, სულიკო წულუკიძე და უკვე ნახსენები ოლენა იერშოვა. მთავარ როლებს ასრულებენ: ანდრო საყვარელიძე, ია სუხიტაშვილი, არჩილ ქიქოძე, კახი კავსაძე და სხვები. სცენარზე კოლუაშვილმა ისევ ბორის ფრუმინთან ერთად იმუშავა, ოპერატორი კი ტატიო კოტეტიშვილი გახლავთ.

როდის ნახავს კოლუაშვილის ახალ ფილმს ჩვენი მსახურებელი, ჯერჯერობით უცნობია, რადგან ფილმს წინ სხვა და სხვა კინოს ფესტივალზე მოგზაურობა ელის.

ტორონტოს კინოფესტივალში მონაწილე ფილმების რაოდენობა, როგორც წესი, რამდენიმე ასეულია, ამიტომ მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს. ფესტივალის რამდენიმე სეგმენტადაა დაყოფილი (მაგალითად, «ბრმა პაემნები» მსოფლიო კინოს კატეგორიაში მოხვდა), საუკეთესოს კი, როგორც გითხარით, მსახურების სიმპატიის მიხედვით ირჩევენ. როგორც წესი, საუკეთესო მართლაც წლის ფილმია ხოლმე. მაგალითად, შარშან მთავარი ჯილდო დევიდ ო. რასელის Silver Linings Playbook-ს მიაკუთვნეს, ასევე ტორონტოს გამარჯვებული ფილმებია «მეფის სიტყვა», «ძვირფასი», «მილონერი ქონებაებიდან», «ცოცხალი», «სასტუმრო «რუანდა», «ამელი» და სხვა. წლევანდელ ფავორიტს ფესტივალის ბოლო დღეს, 15 სექტემბერს დაასახელებენ.

სკორტი

„დინამო“ VS „ტოტენჰემი“, მინუს ბილი

პირველი გვერდიდან

ბურთი რომ მრგვალია, ეს ყველამ იცის, მაგრამ გააჩნია, ეს ბურთი ვისთან გაქვს გასაგორებელი. ლონდონური კლუბი სწორედ ისეთია, ვისთანაც ბურთის გომეტრიული ფორმა ნუგეშად არ გამოდგება. «ტოტენჰემი», რომელსაც პრემიერლიგაში ქულა დააკლდა იმისთვის, რომ ავტომატურად გასულიყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, 22 აგვისტოს თბილისში, „დინამო არენაზე“, დუშან უჭრინის გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს. თამაში კი მართლაც იციან - კლასიკური პრემიერლიგური, ქვეყნის ჩემპიონატების საუკეთესო სამეფოში რომ შედის. ყველაფერ ამას კი იმ ფეხბურთელთა მალალი სათამაშო ოსტატობა განაპირობებს, რომლითაც ასე იწონებს თავს პრემიერლიგა.

გარეთ ბილი? ჰო, ის უდავოდ ძლიერი ფეხბურთელია. ამიტომაცაა, რომ მის ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმაა. ამბობდნენ, მადრიდის „რეალს“ სურს უელსელის შექმნა და მზადაა, სატრანსფერო ბაზრისთვის რეკორდულად დიდი თანხა - 100-120 მილიონი ევროც კი მოხსნას საბანკო ანგარიშიდან.

ამასობაში ესპანური პრესა იუნყება, რომ ინგლისური კლუბი მზადაა, ბილი „რეალში“ გაუშვას, თუ მის სანაცვლოდ 110 მილიონი ევროს და ფაბიო კოენტრასის მიიღებს. სხვათა შორის, მადრიდული კლუბის პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს თავის გარემოცვაში უთ-



დინამოს «ტოტენჰემის» სახით აშკარად არ გაუმართლა

ქვამს, ბეილის ტრანსფერზე მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობსო.

იმასაც ამბობენ, სამეფო კლუბს ბეილის შექმნა აღარ სურს, თავად ბეილის კი - «ტოტენჰემის» მისურის ჩაცმაო. პრინციპში, ლონდონურ კლუბში არდარჩენის სურვილი, გარკვეული თვალსაზრისით, კარგი ინფორმაცია უნდა იყოს „დინამოსთვის“, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ „ტოტენჰემს“ მალალი კლასის სხვა ფეხბურთელებიც საკმარისად ჰყავს, ნუგეშის საბაზს ნამდვილად არ იძლევა.

ლონდონელთა 24 წლის მარცხენაფლანგელს ფეხი სტიკია და პრემიერლიგის პირველ ტურს («კრის-

ტალ პალასთან») გამოტოვებს. ტურნირი ხვალ იწყება (ხვალვე საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურში თბილისის „დინამოს“ გორის „დილასთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა). ესეც „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელის, პორტუგალიელი ანდრე ვილაშ-ბოაშის სიტყვიერი დასტური: „მან თითქმის მთელი წინასასეზონო შეკრება გამოტოვა, ამიტომაც კრისტალ პალასთან ვერ ითამაშებს. კუნთი აქვს დაჭიმული და ფეხში ტკივილს უჩიოდა. ცხადია, ის პირველ ტურს გამოტოვებს“.

რამდენიმე დღით ადრე გარეთ ბეილის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით ირლანდიის ნაკრე-

ბის იტალიელმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ თქვა, თანამედროვე ფეხბურთში ზოგიერთი ვარსკვლავის სანაცვლოდ მეტისმეტად დიდ ფულს იხდიანო. ტრაპატონი უელსელის ფასს გულისხმობდა: „ჩემი აზრით, დედამიწის ზურგზე არც ერთი ფეხბურთელი არ ღირს ამდენი. არ შეიძლება ბილი ღირდეს 100 მილიონი ევრო. ერთი ფეხბურთელი ვერ მოიგებს თამაშს, ეს გუნდური სახეობაა. მიმაჩნია, რომ 100 მილიონი ევრო არ ღირს ისეთი დიდი ფეხბურთელებიც კი, როგორებიც არიან ლიონელ მესი, კრიშტიანო რონალდო, პელე და იოჰან კრუიფი. თითოეულ მათგანს წარმატებისთვის სჭირდებოდა და სჭირ-

დება გუნდი. ...როდესაც იუვენტუსში“ ვმუშაობდი, კლუბს ჯანი ანიელი ფლობდა. მას ფული არ აკლდა, მაგრამ ამბობდა, რომ ფეხბურთელში გარკვეულ თანხაზე მეტის გადახდა არ შეიძლება“.

ასეა თუ ისე, უბელიო „ტოტენჰემი“ კვლავ ძლიერ გუნდად რჩება. ფაქტობრივად გადანყვეტილია, რომ უელსელი თბილისში არ ჩამოვა.

ამასობაში კი ლონდონელთა ბანაკში მატებაა - „ტულუზას“ ნახევარმცველი ეტიენ კაპუ ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი გახდა. 25 წლის ფრანგმა, რომლის სატრანსფერო ფასი 8.5 მილიონი ფუნტია, სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა.

აქვე გეტყვით, რომ კაპუს მიმართ ინტერესს იჩენდნენ „მონაკო“, კარდიფ სიტი“ და ლონდონის „არსენალი“.

P.S. 22 აგვისტოს, 20 საათზე, თბილისის „დინამო“ VS ლონდონის „ტოტენჰემზე“ დასრულების მსურველებს ბილეთების ელექტრონული ვერსიის შექმნა ინტერნეტით - biletbi.ge-ს მეშვეობითაც შეუძლიათ.

იყიდება ყველა ბილეთი, გარდა I იარუსის, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-10 და მე-17 სექტორებისა.

ბილეთის ფასი: 5, 10 და 15 ლარი. VIP ბილეთებისთვის გულშემატკივრებმა „დინამო არენას“ საღარიბოებს უნდა მიმართონ.

PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN



ELITE MODEL LOOK CASTING 2013

N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE

7 SEPTEMBER
NATIONAL CASTING
TBILISI MALL
14:00 - 18:00

2013
elite
MODEL LOOK
GEORGIA

ic MODEL MANAGEMENT

